

სახალხო ვაჟაშვილი

სუკრათიხიანი დამატება

გაზეთის № 467.


კვირა, 4 დეკემბერი 1911 წ.

დამატების № 82



დეზის ალერხი.

ნახატი ბ. ბუიჯროსი.



კავკასიის ქართული სკოლა. თეატრა, ეკლესია და ხაკრედითა მხანავობა.

სამსუბრძენი პრეტენზია

(იუმორისტული მოთხრობა).
(თარგმანი).

ერთ პატარა ქალაქის ყვავილებით მორთულ კოპწა ბაღ-ჩაში ფანჩატური იყო გამართული. ფანჩატური ბაბილოთი შემოგრაგნილიყო, შიგ სასიამოვნოდ გრილოდა. შუალეე იყო. ფუტკრები ბზუილ-ბზუილით გადადიოდნენ ერთი ყვავილიდან მეორეზე და თავს დასტრიალებდნენ ტკბილ კუბატებით სავსე პინაკს, რომელიც ფანჩატურას შუა ადგილას საგიდაზე ღდგა.

— ჰო, ეს ფანჩატური ჩემი კარმიდამოს თვალია, — სიტყვა გადასახდთა ინსპექტორის ქვრივმა ქ-მა ვალტერმა და თან თავის სტუმარ ქალს მეორედ დაუსხა ყავა.

— ფანჩატური, ჩემო კარგო, მართლაც რომ საუცხოვოა, მაგამ ეს არის ცოტა ვიწროობაა. — თან კაბის ბოლო აიკეცა, რომელიც მიწაზე ჩაშვებოდა.

— ეჰ, ყველა ხომ ისე განებივრებული არ იქმნება, როგორც შენ, ჩემო მელანო, — მიუგო დიასახლისმა წყენითა.

— უკაცრავად, სრულიადაც არა! — იმავე კილოთი უთხრა სტუმარმა.

— კარგი, კარგი, მელანო, აბა, რას მეჩხუბები. განებივრებული ხარ. ან კა, აბა, სხვაფრივ როგორ უნდა ყოფილიყო? აგერ უკვე თხუთმეტი წელიწადაა, რაც შენ იმოდენა მზითვევი წაიღე...

— ეჰ, ჩემო კლარა, შენ სულ სხვანაირი წარმოდგენა გაქვს ჩვენს ქონებაზე, გგონია შემოსავალს ვერ ავდივართ...

— აბა, რას მეუბნები, მელანო, თქვენ რა გიჭირთ, თბილად ხართ! საკმარისია კაცმა ერთი შემოგხედოს, რომ ამას მიჰხედეს, — სიტყვა დიასახლისმა და შურის თვალთ გადაჭხედა მოდაზე მორსულ ნათესავ-სტუმარს, მის ყმაწვილ, ნაზ სახეს, წარმოსადგე მოყვანილობას და ბრილიანტის ყელსაბამს.

— ყველა-ყველა და შენ როგორღაც სქელდები ჩემო მელანო: უთხრა მან ბოლოს.

— რაა მერე, განა სულ ერთი არ არის ჩემთვის. ოცდა თხუთმეტი წლისა ვარ. სილამაზის შეჯიბრებაზე ჯილდოს

მიღებას ხომ აღარა ვცდილობ — გაციანა მელანომ. ირმა უკვე თოთხმეტის წლისაა, სწორედ შენი გრეტტენის ტოლია...

— ეჰ, მე ძალიან ადრე გავთხოვდი, — სიტყვა გესლიანად კლარამ და თან წელში გასწორდა.

— იჰ, კარგი ერთა და, არც ისე ადრე გავთხოვილხარ. — მიახალა პირში მელანომ.

— ეს რასა ბრძანებს, ჩემო კარგო, მე შენზე ხუთი წლით პატარა ვიყავ, — წიწმბატობდა კლარა, — ხნით, რასაკვირველია...

— მხოლოდ ხუთი თვით, ხუთით, — შენიშნა მელანომ.

— აზრებით და გრძობით ხომ... შენთან შედარებით ნამდვილი ბავშვი ვიყავი... ღმერთო ჩემო, ხშირად ეხლაც

გამახსენდება ხოლმე, რომ ვთხოვდებოდი არაფრისაგან არაფრის წარმოდგენა არა მქონდა! — სიტყვა დიასახლისმა და თითქოს უცოდველიაო ისე მიაშტერა თავისი მოცისფრო თვალები რძალს.

— მერე, დად რამეთ მიგანჩია, რომ გავთხოვებამდე არაფერზე წარმოდგენა არა გქონდა?

— ქა, ეგ რა პასუხია, მელანო! ეს ერთად-ერთი ღირსებაა, რომლითაც ახალგაზნდა ქალს შეუძლიან თავი მოიწონოს, იმაყოს — მიუგო დიასახლისმა.

— არა, ჩემო კარგო, ვერ დაგეთანხმები. მეც ძველებურადა ვარ აღზრდილი. დედაჩემისთვის ღიდი ბედნიერება იქმნებოდა, რომ ჯვრისწერამდის მეც არაფერი მცოდნოდა და ყველაფერი ისე მგონებოდა, როგორც ის მეუბნებოდა, მაგრამ მისი იგავარაკებისა მე სავსებით არა მჯეროდა. მაინც ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა....

— კმარა, კმარა, მელანო, — გააწყვეტინა დიასახლისმა.

— ქა, განა ასეთი მორცხვობა კიდევ შეიძლება, კლარა? — ჰკითხა სიცილით მელანომ.

— ქა, განა მაგნაირი ლაპარაკი შეიძლება, მელანო? — შეეკითხა თავის მხრივ დიასახლისი.

— იჰ, იჰ, ჩამოეცათ უცოდველ ანგელოზს! — დაცინვის კილოთი დაიწყო მელანომ. ოჰ, ნეტა ერთი ჩემი ბერლინელ მეგობარ ქალების ლაპარაკი გაგაგონა. მეუბნებიან, რომ ჩამოაჩენილი ხარ და „თანამედროვე ქალის“ სახელის ღირსი არა ხარო... მაგრამ მე მაინც ნამდვილი თანამედროვე ქალი ვარ! თუმცა მეჯავრება ქალთა მოძრაობის ზოგიერთი გადამახინჯებული ფორმა, რომელშიაც ეს მოძრაობა იჩენს ხოლმე თავს, სამაგიეროდ მიყვარს მისი საღი, ძირითადი იდეა. ჩვენს დროს ქალის განახლების ხანა მინდა ვუწოდო... მან იგივე შეტქმნა ჩვენთვის, რაც მამაკაცთა განახლების ხანამ: გაგვანთავისუფლა ბორკილისაგან, რომლითაც ხელფეხი გვქონდა შებოქილი და მსოფლ-მხედველობა გაგვიფართოვა...

— შენი არა მესმის რა, მელანო, რაღაც მაღალ-მაღალ ფანდებითა ლაპარაკობ, — გააწყვეტინა დიასახლისმა.

— ოჰ, ღმერთო, რა სისულელია, ქალო, აამუშავე ტვინი ე პატარა გოგრაში და მიჰხედები, რომ ჩემს ნათქვამში გაუგებარი არაფერია; ეს უბრალო, სადღეისო ჭეშმარიტებაა. ჩვენ, ქალებმა, ყველამ მონაწილეობა უნდა მივიღოთ დიად საქმეში, ესე იგი, უნდა ტვინი ავამუშავოთ, მოაზროვანე არ-

ოსმალეთ-იტალიის ომი ტრიპოლიში.



აერობლანიდან ხახრალა ყუმბარა, შუაში სდგას ყუმბარის გამომგონი კაბატანი ბანტემპელლა.

სებად გადავიქცეთ და არა იმ ტიკინებად დავრჩეთ, რომლებბად გავხდით მამაკაცთა წყალობით!!..

— ოჰ, რა სისულელეს როშავ, მელანო... ფიქრი ხომ ყოველთვის შეგვეძლო—უთხრა დიასახლისმა.

— კეთილი, მაგრამ რაზე ვფიქრობდი? კლარა, აბა ერთი გულახდილად მითხარი, რაზე ჰფიქრობდი შენ მთელ შენს სიცოცხლეში? სანამ გასათხოვარი იყავი ქრელ-ქრულ კაბებზე გეჭირა თვალი, გასთხოვდი და მას აქეთ ღღემღე დიასახლისობას ეწეოდი, ქმარზე იღებდი ფიქრობდი, რომ ისინი ფიზიკურად კარგად ყოფილიყვნენ.

— მერე როგორა გგონია, ეგ არაფერია? ცოტა მნიშვნელობა აქვს?— შეაჩერა კლარამ.

— რასაკვირველია, კლარა, მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მხოლოდ ამაზე ფიქრი და ზრუნვა არა კმარა. ასე არ უნდა ვიქცეოდეთ მხოლოდ იმიტომ, რომ „ეს მუდამ ასე ყოფილა“. თავისუფლად, დამოუკიდებლად უნდა ვიფიქროთ და არა დიდი ხნის გათელილ გზით ვიაროთ. უმთავრესად კი კარგად უნდა მოვისაზროთ შვილების აღზრდის საკითხი. ახალი თაობა ჩვენზე ბევრად საჭიროა, მომავალი მას ეკუთვნის... ვაჟებს რა უშავთ... ვაჟებისთვის გზა თავისუფალია!!.. ისინი ამ გზაზე თავის ღირსების სრულ შეგნებით გამოდიან, მაგრამ ჩვენი ქალები კი...

— არა, არა, ჩემო მელანო,— გააწყვეტინა მოსაუბრეს დიასახლისმა,— თავს მოვიკლავდი, ჩემი გრეტქენა რომ „თანამედროვე“ დ გამხდარიყო. უწინ თვალი დამიდგეს, სიკვდილზე უარესად მძულს ეს სისულელე და იმიტომ არაფერს დავზოგავ და ვეცდები, რომ ჩემი ქალი ძველებურად აღვზარდო... არა, ჩემი გრეტქენი კურსებზე არ ისწავლის, როგორც ამას ახალ დროების სულელი, ქარაფშუტა ქალები სჩადიან, ის კარგი გამოცდილი, ფაქიზი, მუყაითი დიასახლისი იქმნება, როგორაც იყო დედაჩემი, როგორაც ვიყავი მუდამ მეც. მას ეცოდინება რიგიანი რეცხვა, პურაბების კეთება, ხილის შენახვა, ქაღების გამოცხობა, ბედნიერ ღღებშია ც შემწვარს, რასაკვირველია, თავის ხელით მოუმზადებს ქმარს და არა მზარეულს ჩააბარებს, რომელიც ისე კარგად ვერ მოამზადებს. ხოლო სანამ გაუთხოვარია ქალწული უნდა იყოს... შმინდა, უმანკო, ვით ყვავილი...

— რა გინდა მაგითი სთქვა?— ჰკითხა მელანომ.

— რაკი მათქმევინე გეტყვი— აქ სხეულით სიწმინდეს კი არ ვგულისხმობ, ეს თავისთავად ცხადია, არამედ სულიერს... გრეტქენმა არაფერი არ უნდა იცოდეს, უბიწოდ უნდა დარ-

ჩეს, უნდა იყვეს ანკარა, ვით დილის ცვარი... უმანკო, ვით ნახი ყვავილი...

— ჰო, მესმის. მაშ შენ გინდა შენს ქალს ჰქონდეს ბუნდოვანი წარმოდგენა ქალისა და კაცის დამოკიდებულებაზე?— შეეკითხა მელანო.

— ბუნდოვანი?! არა, სრულებით არაფითარი წარმოდგენა არ უნდა ჰქონდეს!— მიუგო დიასახლისმა.

— მეტის-მეტია.

— სრულიადაც არა! კარგად აღზრდილ ახალგაზდა ქალისთვის ამნაირი საკითხები არ არსებობს, ის მათზე სრულიად არ ფიქრობს!!.. ამ გრეტქენებს მას პირველად ქმარი უღვიძებს.

— და არა დანიშნული?— ჰკითხა მელანომ.

— არა,— მიუგო კლარამ— და განაგრძო: დამიჯერე, მელანო, მთელს იმ ხანში, რაც დანიშნული ვიყავი, ერთი ცუდი აზრი არ მომსვლია თავში; მიხაროდა, რომ საქმრო მყავდა, რომელსაც საჩუქრები მოჰქონდა ჩემთვის და მეაღერსებოდა, მიხაროდა ისიც, რომ ადრე ვთხოვდებოდი, მაგრამ სხვა რამეზე, გეფიცები, არც კი ვფიქრობდი... უნდა გამოგიტყდე, ჩემო მელანო, როგორი აღშფოთებული ვიყავი ჯვრისწერის პირველ დამეს... შიშისაგან აღარა მესმოდა რა... გარწმუნებ... ნერვები ამეშალა... გონება დამებნა...

— მერე, როგორა გგონია, ეგ ძალიან სასიამოვნოა?— ჰკითხა მელანომ.

— არა, საქმე ამაში არ არის; ასეც უნდა იყვეს უბიწო ქალისათვის...

— ჰო, მაგრამ— დაიწყო მელანომ, მაგრამ დიასახლისმა ლაპარაკი განაგრძნო: და მეც ჩემს ქალს ისე ვზრდი, როგორც მე მზრდიდნენ. უმანკოება ახალგაზდა ქალისთვის ძვირფასი განძია, მას შეუძლიან დაიფაროს იგი ათასგვარ ცთომილებისაგან. მე რომ შეძლება მქონოდა და ჩემი გრეტქენი გადიად ან დიასახლისის თანაშემწედ დამეყენებინა სადმე, რომ ამით თავი ერჩინა, ჩემთვის ამაზე ბედნიერება არა იქმნებოდა რა. დამთარე, დაუმალე ყველაფერი შენს ქალს, თუ გინდა უბედურობისაგან იხსნა. უბედურება, რომელზედაც მას წარმოდგენა არც კი ექმნება, მისთვის უზიანო, უშიშარი იქმნება!

— მე კი წინააღმდეგი აზრისა ვარ: რომ ქალმა თავი დაიცვას, საჭიროა მან თეორიულად იცოდეს ყველაფერი! სქესობრივი საკითხის განმარტება...

— უჰ, უჰ!.. წამოიყვირა დიასახლისმა...


— ხო,— განაგრძო მელანომ,— სქესობრივ საკითხის განმარტება, ჩემის აზრით, დიდი და მეტად სასარგებლო ახალი რამ იქმნება ქალის ცხოვრებაში. ძირს ის თვალსუქობა, რომლითაც ჩვენ ბავშვობისას გვატყუებდნენ... ძირს სულელური ზღაპრები... რაც ქალისთვის ყველაზე უსაჭიროესი, მწვავე საკითხია, ამაზე ყველაფერს გვიპოვებდნენ, ძირს სიცრუე... ჩვენმა ქალებმა ყველაფერი უნდა იცოდნენ, რომ ასე ხშირად მამაკაცთა უინიანობის და უსინიანობის მსხვერ-

ჩ ი ნ ე თ ი ს რ ე ვ ო ლ უ ტ ი ა.



ჩვევალუციონერთა დარაჯნი ქუჩებში.

რუსეთ-სპარსეთის უთანხმოება.



მორგან-შუსტერი

სპარსეთის საფინანსო აგენტი, რომლის გამოდაც რუსეთ-სპარსეთის დამოკიდებულება გამწვავდა.

პლი არა ხდებოდნენ... აი, სწორედ ამისათვის აფუხილეთ თვალი ჩემს ქალს...

— რაო?! — შეჰყვირა დიასახლისმა, — თოთხმეტი წლისას? ეს რაღაც უცნაური, გაუგებარი რამეა...

— რა გაუგებარი? — მიუგო მელანომ, — სწორედ მაშინ ესაქიროება ახალგაზდა ქალს სქესობრივ საკითხის განმარტება, როცა ის მომწიფებას იწყებს, როცა ახალ გრძობათა კორიანტელი ტრიალებს და ხშირად გაუბრბის დედას, რომელიც რაღაც რეგვენულ სირცხვილისა და სისულელის გამო არ უხსნის ქალს ამ საკითხებს და მარტოდ-მარტო სტოვებს მას მისთვის გაუგებარ მისწრაფებანით ცხოვრების ამ ძნელ ხანაში...

— არა, ტყუილია, ზრდილობიანი ქალები ამ გაუგებარ მისწრაფებათ არა გრძობენ, ჩემო მელანო...

— პირიქით, ჩემო კლარა, ეს მისწრაფებანი მათ უეჭველად აქვთ. მხოლოდ ეგრედ წოდებული „კარგად აღზრდილნი“ უფრო მალე, ადვილად უტყულებიან მეგობარ ქალებს, ვიდრე მშობელ დედას, რომლის ხორცი და სისხლიც ივინი არიან...

— ღმერთო, შეჰყვირა დიასახლისმა, რა ნაირი ერთი მეორის მოწინააღმდეგე აზრებს ამბობ ხოლმე მუდამი...

— მე ისე აღვზარდე, ჩემო კლარა, ჩემი ქალი, რომ თვითვეულ საკითხის განსამარტავად, ექვი შეეპარება რამეში თუ არა, ჩემთან მორბის. მე იმისი რწმუნებული ვარ, მეგობარი. ასეთი უნდა იყვეს ქალისთვის ყოველი დედა, მეტადრე როცა იგი მომწიფების ხანაშია, — უთხრა კლარამ.

— ოჰ, მელანო, რა ძნელია ეს ხანა! ნეტავი იცოდეთ როგორ დავიბენი, როდესაც ამ რამდენიმე თვის წინად, გაზაფხულზე, მოვარდა ჩემთან თვალ-ცრემლიანი გრეტქენი და მითხრა... ხომ მიჰხვდი რაც მითხრა... წარმოიდგინე, არ ვიცოდი რა შეთქვა... ესლა ისე არ გამახსენდება ხოლმე ის შემთხვევა, რომ ერთხანტელმა არ დამიაროს ტანში...

— მერე რატომ არ აუხსენი რაშიც იყო საქმე?

— რას ამბობ, ქალო, აბა ეგ რა საფიქრებელია! — წამოიძახა კლარამ.

— მე კი სხვა ნაირად მოვიქეცი, ვანაგრძო მელანომ, როცა ირმა მოვიდა ჩემთან და სწორედ მაგაში გამომიტყდა, პირდაპირ ვუთხარი, რომ საშიში არაფერია, რომ ამით მას ბუნება აჩვენებს, რომ იგი უკვე დედაკაცდება, რაც მხოლოდ უნდა უხაროდეს.

— მე კი ვერაფრის თქმა მოვახერხე რა და! — შემოჰკრა ხელი-ხელს ინსპექტორის ცოლმა.

— შენ, ჩემო კლარა, მაგით რომ არაფერს არ ეუბნები, ქალს მთელ სიმშვენიერეს უკარგავ, ისე როგორც პეპელას ჩამოაცალო სილამაზე...

— შედარება იმდენადვე პოეტურია, რამდენადც სულელური, — შენიშნა დიასახლისმა.

— პირიქით, კლარა, ეს შედარება სწორეა! — მიუგო მელანომ.

— უნდა გამოგიტყდე, ჩემო მელანო, ყველაფრის კილოთი დაიწყო დიასახლისმა, რომ მას შემდეგ, რაც ყველაფერი ეს გავიგონე შენგან, ირმას მეგობრობა ჩემი გრეტქენისთვის ვერაფერი სასარგებლო იქნება!.. მე ძალიან გაშეხარდა, რომ გვიკადრეთ და გვეწვიეა, მაგრამ.. უნდა გამოგიტყდე, რომ აღზრდის პრინციპები, რომელსაც შენ ემხრობი... მაგრამ სად არიან ბავშვები? უცებ შესწყვიტა ბაისი დიასახლისმა.

— ღმერთო ჩემო, რა ადღევებული კილოთა ლაპარაკობ, კლარა!.. გეტყობა მართლა გეშინიან, რომ ჩემი განათლებული ქალი შენს უმანკო კრავზე ცუდ გავლენას იქონიებს?..

— ამისთანა უხუმარ საკითხებს მაგრე აბუჩად ნუ იგდებ... მაგრამ სად არიან ბავშვები? — კიდევ წამოიყვირა დიასახლისმა!

— მინა, მინა, არ გესმის? გაჰყვირა მან. ქვემო სართულის ერთ ფანჯრიდან თავი გამოჰყო მოხუცმა ქალმა.

— რა გნებაოთ, ქალბატონო. ცუცხლი ხომ არსად გაჩნდა? — გამოსძახა მინამ, რომელიც მთელ კარმიდამოს განაგებდა.

— მინა, ბავშვები სახლში არიან? — შეეკითხა კიდევ დიასახლისმა.

— ბავშვებს ამისთანა მშვენიერ დღეს სახლში რა გააჩერებდათ! ისინი მღვდლის ბიჭებთან ერთად ტყეში წავიდნენ...

— იმოდენა ბიჭებთან! წამოიძახა დიასახლისმა. მე არ მინდა, რომ გრეტქენი ბიჭებთან დაიარებოდეს! რისთვის გაუშვი, მინა, სახლიდან? — გამწყარალის კილოთი უთხრა მოხუცს.

— ამას აბა ვინ დაუშლის ბავშვებს? — გამოსძახა მანამ და, თითქოს ფალოსოფოსიოა, დინჯად მოშორდა ფანჯარას.

(დასასრული იქნება)

სან განი-ძე.



გენერალ-ლეიტენანტი

გახალი ბლექხანდრეს ძე პოტტო

კავკასიის სამხედრო საოლქო შტაბის სამხედრო-ნაისტორიო განყოფილების თავმჯდომარე.

(† 29 ნოემბერს 1911 წ.).